გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 48
(11 607)
25 - 27 ივნისი, 2002 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## მსოფლიო XVII ჩემპიონატი ფეხბურთში

## ნახევარფინალები:

**დღეს...**
**გერმანია — სამხ. კორეა**
**ხვალ...**
**ბრაზილია — თურქეთი**

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

დსთ-ს, ბალტიის ქვეყნებისა და რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა საერთაშორისო სპორტული თამაშები

## 13 მედალი მოვიპოვეთ, მაგრამ ყველას არა აქვს უფლება იამაყოს ამ ბრწყინვალე წარმატებით...

### ჩვენი მძიმე ყოფის მიუხედავად, დაუჯერებელი არ გეგონოთ, საბჭოთა კავშირის ყოფილ სივრცეში მეოთხე ვართ თამაშების შედეგებით



თამაშების ფინიშზე სპორტული პაექრობები რომ მეტ დაძაბულობას იძენს, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ თუ მას ვინმე გარედან ჩარევით ხელოვნურად ამძაფრებს, არასასურველი ვნებათაღელვას ეძლევა გასაქანი და სპორტული ჟინი რაღა მოსატანია.

МЕЖДУНАРОДНЫЕ СПОРТИВНЫЕ ЮНОШЕСКИЕ ИГРЫ
МОСКВА
СТРАН СНГ, БАЛТИИ И РЕГИОНОВ РОССИИ

ასეთი რამ მით უფრო სამწუხაროა, როცა საქმე მოზარდთა ასპარეზობას ეხება. ასეთი შესავალი იმ ყოვლად უმსგავსო საქციელისთვის დაგვჭირდა, რამაც თავი იჩინა საქართველოს და პეტერბურგის ვაჟ კალათბურთელთა მატჩისას, რომელსაც ერთ-ერთი ფინალისტის ვინაობა უნდა გამოევლინა. დაიწყო თუ არა შეხვედრა, ცხადი გახდა, რომ მსაჯებს მითითება ჰქონდათ მიცემული – არამც და არამც ქართველებს არ მოეგოთ ეს პრინციპული მატჩი. ჯერ მარტო ის ფაქტი რაზე მიგვანიშნებს, რომ ერთი მსაჯი რუსი იყო, მეორე მოლდოველი, კომისარი კი... სანკტ-პეტერბურგელი. სწორედ მოლდოველმა აიღო ძირითადად თავის თავზე ქართველთა შევიწროების ფუნქცია. არ იყო სანკტ-პეტერბურგის ნაკრები ის გუნდი, რომელიც ჩვენებს გაუმკლავდებოდა, არც სხვები. სწორედ ამან დააფიქრა ორგანიზატორები, რომლებსაც სურდათ, რომ ფინალში აუცილებლად ეთამაშა მოსკოვის ნაკრებს ნებისმიერ გუნდთან, ოღონდ, არა ქართველებთან. ამან განაპირობა ჩვენების გზიდან ჩამოშორების მექანიზმის ამუშავება, თორემ სანკტ-პეტერბურგელთა დარდი ვის ჰქონდა.

მოკლედ, მატჩის პირველი წუთებიდანვე არ მისცეს ჩვენს ყმაწვილებს დაწინაურების შესაძლებლობა. ინიციატივას, რასაც შეეძლო უპირატესობის მოტანა, მსაჯები დასაწყისშივე ახშობდნენ. შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრამდე ჩვენებს ყველა თამაში შთამბეჭდავი ანგარიშით ჰქონდათ მოგებული. მთავარი მწვრთნელი თამაზ ოქრუაშვილი პიტერელებთან მატჩის წინ ამბობდა, რომ თუ მსაჯები არ „ჩაძირავდნენ“ მინიმუმ 40 ქულით მოიგებდნენ შეხვედრას. პირველი პერიოდის შემდეგ ანგარიში იყო 14:22, მეორე პერიოდში ჩვენებმა სხვაობა ოდნავ შეამცირეს – 6 ქულით აგებდნენ (30:36), მესამეს ასევე ექვსი ქულით (47:53). მეოთხე პე-

2



## თამაშების ჩემპიონი 16-წლამდე მოჭადრაკე გოგონათა შორის ნანა ძაგნიძე

2

# ახალი მსოფლიო ჩემპიონის მოლოდინში

## დარჩა ოთხი უძლიერესი







მიმდინარე კვირაში გაირკვევა იმ გუნდის ვინაობა, რომელიც უახლესი ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ატარებს. დღეს და ხვალ მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩებია. რომელშიც გაირკვევა, ფინალში ბრაზილიელები და გერმანელები შეხვდებიან, თუ კიდევ ერთი სასწაულის მოხდენას შეძლებენ კორეელები ან თურქები, რაც უკვე აღარავის გაუკვირდება, რადგან ამ ჩემპიონატზე სიურპრიზები ბევრი მოხდა.

ნახევარფინალისტებს თავ-თავიანთი ნაკლოვანებები აქვთ და ცხადია, წინასწარ რაიმე პროგნოზის გაკეთება რთულია. კორეელები გუნდური თამაშით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რასაც ვერ ვიტყვით თითოეული მოთამაშის ინდივიდუალურ ოსტატობაზე.

გერმანელები ერთგვაროვან ფეხბურთს თამაშობენ, რომელსაც ჯერჯერობით, მოაქვს დადებითი შედეგები, თუმცა არც არის გამორიცხული, რომ რაღაც მომენტში გერმანული „მანქანის“ მუშაობა შეფერხდეს.

თურქეთის ნაკრებიც კარგი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ არა ბრწყინვალე, რაც შეეხება ბრაზილიის ნაკრებს, დაცვის ხაზზე მცირეოდენი ხარვეზები რომ არ ჰქონდეს, დიდებული და უნაკლო გუნდი იქნებოდა.

ეს რაც შეეხება ნაკლოვანებებს, ახლა კი იმ კოზირებზე, რომელიც თითოეულ ნახევარფინალისტს გააჩნია. ბრაზილიელი ტანდემი რონალდოსა და რივალდოს შემადგენლობით ნამდვილად შეუდარებელია. მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელმა გუუს ჰიდინკმა თავისი ბრწყინვალე აზროვნება კიდევ ერთხელ დაამტკიცა, — მან შესანიშნავი გუნდი — სამხ. კორეის ნაკრები შექმნა, რომელიც ნახევარფინალში გავიდა და გზიდან ჩამოიცილა ფავორიტები — იტალიის, ესპანეთისა და პორტუგალიის გუნდები.

გერმანია — კორეის დღევანდელი მატჩი მეტად დაძაბული და საინტერესო იქნება. უნდა აღინიშნოს, რომ კორეელებს გერმანელთა მსგავსად ძალუძთ უკანასკნელ წუთამდე ბრძოლა. მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე ისინი 0-2-ს აგებდნენ ესპანელებთან, თუმცა, საბოლოოდ, თამაში ფრედ (2-2) დასრულება შეძლეს. გერმანელებთან 0-3-ს აგებდნენ და ორი საპასუხო გოლის გატანა მოახერხეს. იმასაც ვიტყვით, რომ გერმანელებს ბოლო წუთზე საკუთარ კარში გოლის გაშვება „შეუძლიათ“. რაც უკვე დაფიქსირდა ამ ჩემპიონატში... ასე რომ, დაძაბული და საინტერესო მატჩი იქნება.

ხვალ არანაკლებ საინტერესო მატჩია ბრაზილიასა და თურქეთის ნაკრებებს შორის. ეს გუნდები ჯერ კიდევ ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში შეხვდნენ ერთმანეთს და თამაში კინაღამ სენსაციური შედეგით დასრულდა. ბრაზილიელებმა მსაჯის საეჭვო გადაწყვეტილებების წყალობით ბოლო მომენტში შეძლეს გამარჯვების გოლის გატანა მეტოქის კარში. ეს თურქებს კარგად ახსოვთ და განზრახული აქვთ, სამაგიეროც მიუზღონ ბრაზილიელებს, მაგრამ შეძლებენ თუ არა ამას, ხვალინდელი მატჩი გვიჩვენებს.

რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს, აქ მსაჯობის ორი კანდიდატია.. შვედი ანდერს ფრისკი და იტალიელი პიერ ლუიჯი კოლინა. ამათგან უფრო მეტი შანსი კოლინას აქვს, რადგან ფიფას ხელმძღვანელობას არაერთხელ უთქვამს, რომ თუკი იტალიის ნაკრები ფინალში არ გავიდოდა, ჩემპიონის გამოვლენას კოლინას მიანდობდნენ.

ვილარმა ფიფას მსაჯთა კომიტეტი დატოვა.







## სეფ-ს აღმასკომი შეგვეებს იბერიებს

4

# ფიფა და „ყველა ვარსკვლავთა გუნდი“

ფიფამ გამოაქვეყნა „ყველა ვარსკვლავთა გუნდი“, რომლის შემადგენლობაში შეიყვანეს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების საუკეთესო ფეხბურთელები. გაგაცნობთ „ყველა ვარსკვლავთა გუნდის“ შემადგენლობას.

***მეკარეები:*** ოლივერ კანი (გერმანია), მარკოსი (ბრაზილია), იკერ კასილიასი (ესპანეთი), რეკბერ რუშთუ (თურქეთი), ლი ვუნ ჯა (სამხრეთ კორეა).

***მცველები:*** კაფუ, რობერტო კარლოსი (ორივე — ბრაზილია), სოლ კემპბელი (ინგლისი), ხონ მუნ ბო (სამხრეთ კორეა), ოზალან ალპაი (თურქეთი), ფერნანდო იერო (ესპანეთი), იუხან მიალბიუ (შვედეთი).

***ნახევარმცველები:*** დევიდ ბექჰემი (ინგლისი), ძიუნიტი ინამოტო, ხიდეტოსი ნაკატა (ორივე — იაპონია), პაპ ბუბა დიოპი (სენეგალი), კლაუდიო რეინა (აშშ), მიქაელ ბალაკი (გერმანია), იუ სან ჩუსი (სამხრეთ კორეა), მარკ ვილმოტსი (ბელგია)

***თავდამსხმელები:*** რონალდო, რივალდო, რონალდინიო (ყველა — ბრაზილია), ელ ჰაჯ დიუფი (სენეგალი), ალ ჯუნ ხვანი (სამხრეთ კორეა), ლენდონ დონოვანი (აშშ), რაული (ესპანეთი), ჰაკან შაში (თურქეთი), მიროსლავ კლოზე (გერმანია), კრისტიან ვიერი (იტალია), ჰენრიკ ლარსონი (შვედეთი), მაიკლ ოუენი (ინგლისი), იონ დალ ტომასონი (დანია).

## ჭადრაკი სამი ტურით ადრე

ბათუმში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ვაჟთა გუნდის, ინდივიდუალური ევროპის ჩემპიონატი. დღეისათვის 10 ტურია გათამაშებული. შეჯიბრებას 7,5-7,5 ქულით ლიდერობენ მიხეილ გურევიჩი და ბართლომიეჟ მაციეჟა. მესამე-მეხუთე ადგილებს 7-7 ქულით იყოფენ დავით შენგელია, ალექსანდრე გალკინი და ბარტოშ სოსკო.

ქართველ მოჭადრაკეებიდან 6,5 ქულა აქვს მერაბ გაგუნაშვილს და ზურაბ სტურუას, გიორგი ყაჭეიშვილს, ბაადურ ჯობავასა და ზვიად იზორიას — 6-6. აღსანიშნავია, რომ დავით შენგელიამ და მერაბ გაგუნაშვილმა დიდოსტატის ბალები შეასრულეს.

თენგიზ ჩოგანიძე

## ტოტალიზატორის მოყვარულთათვის

*გთავაზობთ ევროპული ტოტალიზატორის ფსონების კოეფიციენტებს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩებისათვის.*

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 25.06 | გერმანია — სამხრეთ კორეა | 2,20 | 3,00 | 3,20 |
| 26.06 | ბრაზილია-თურქეთი | 1,60 | 3,25, | 6,00 |



## საქართველო - ირანი

ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი

4

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 2 თვე დარჩა

torino 2006

## ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 8 თვე გვაშორებს

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

# 13 მედალი მოვიპოვეთ, მაგრამ ყველას არა აქვს უფლება იამაყოს ამ ბრწყინვალე წარმატებით...

(პირველი გვერდიდან)

რიოდის მე-5 წუთზე გავიდნენ წინ პირველად ჩვენი ბიჭები, როცა ანგარიში გახდა 59:58. რჩებოდა 4 წუთი საფინალო სასტვენამდე, კვლავ წინ ვართ ერთი ქულით 59:58. აი ამ მომენტიდან, მსაჯების დიდი მცდელობის მიუხედავად, წინ არ გავეშვით, ჩვენები ახერხებენ ქულების მოგროვებას, მინიმალური სხვაობით ხან ერთი გუნდი გადიოდა წინ, ხან მეორე. რჩებოდა 30 წამი მატჩის დასასრულამდე, როცა ქართველებმა სწრაფი კომბინაცია წამოიწყეს, თავისიანი ფარქვეშ გაიყვანეს და ის იყო ამ უკანასკნელს ბურთი უნდა ჩაეგდო, რომ მსაჯმა თამაში შეაჩერა და ნაცვლად იმისა, რომ მეტოქე უხეშობისთვის დაესაჯა, პირიქით, ჩვენი კალათბურთელი დააჯარიმა. მიზანი გასაგები იყო – ჩვენ, რომ ის ბურთი ჩაგვეგდო, წინ გავდიოდით (ამ დროს ტაბლოზე ანგარიში იყო 66:67 მეტოქის სასარგებლოდ), პეტერბურგელებს კი დროში შეიძლება წაეგოთ. ამიტომაც მოხსნა რისკის ფაქტორი მსაჯმა. ჩვენი გუნდისთვის ეს უკვე ცინიზმის აპოგეა იყო და 16-17 ყმაწვილების რეაქცია შეიძლება ცუდად დასრულებულიყო, ამიტომ მწვრთნელმა დაუყოვნებლივ გაიყვანა გუნდი მოედნიდან. ცხადია, ეს პროტესტიც იყო, სამართლიანი პროტესტი. სხვათა შორის, იმ დღეს ჩვენი ასეთი ხელოვნური დამარცხებით ლატვიელებიც დარჩნენ წაგებულები. საქმე იმაშია, რომ თუ ჩვენ ამ მატჩს მოვიგებდით, ლიტველებს მესამე ადგილისთვის ბრძოლის გზა ეხსნებოდათ. ბალტიისპირელები ამ სკანდალში მხარში გვედგნენ, მაგრამ, როცა დარწმუნდნენ, რომ პროტესტით არაფერი შეიცვლებოდა, მერე შეჯიბრებიდან ქართველების მოხსნა მოითხოვეს, რადგან თუ ამას მიაღწევდნენ, კვლავ უჩნდებოდათ ბრინჯაოს მედლებისთვის თამაშის შანსი. მაგრამ ორგანიზატორებმა თავი ზედმეტად აღარ შეირცხვინეს. ბელარუსელებთან შეხვედრა დიდი უპირატესობით – 97:60 მოვიგეთ და მესამე პრიზიორები ქართველები გახდნენ. სანკტ-პეტერბურგელებთან იმ მატჩის შემდეგ მეტოქე გუნდის კალათბურთელები ჩვენს ბიჭებთან მივიდნენ, მოეფერნენ. ყველა ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა: „ჩვენ არაფერ შუაში ვართ!" მართლაც!

მსაჯთა რისხვას ვერც ფეხბურთელები გადაურჩნენ. აქაც ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩვენებს ფინალში არ გაეღწიათ. ხუთი ფეხბურთელი უკვე ჩამოშორებული იყო მსაჯების სასჯელით მედლებისთვის ბრძოლას. მესამე ადგილის ბედი ლიტვა-საქართველოს მატჩს უნდა გადაეწყვიტა. როგორც იცით, ჩვენებმა პირველი მატჩი სწორედ ამ გუნდთან წააგეს 0-1 და ახლა რევანშის წყურვილიც დამატებით სტიმულს აძლევდა ჩვენს გუნდს. მწვრთნელებმა კობა ჟორჟიკაშვილმა და ივანე ლუცენკომ შეძლეს თავიანთი შეგირდების შესაძლებლობების რეალიზება, თუმცა ეს იყო, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არა თამაში, არამედ ნამდვილი ბრძოლა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ბრძოლამ უდანაკარგოდ არ ჩაიარა. ჩვენები ცხრანი დარჩნენ მინდორზე და ხშირად, მეკარეც კი წინ თამაშობდა – ერთვებოდა შეტევაში. რევანში მაინც შედგა – ეს შეხვედრა ქართველმა ფეხბურთელებმა მოიგეს, ცხადია, ბრინჯაოს მედლებთან ერთად, რაც ჩვენი დელეგაციის ბოლო ნადავლი იყო თამაშებზე.



თამაშების ბოლოსწინა დღეს კიდევ ერთი ოქროს მედალი შეემატა საქართველოს წარგზავნილთა მონაგარს. ჭადრაკში, 16 წლამდე გოგონათა ასპარეზობაში, ჩემპიონის სახელი მოიპოვა მსოფლიო საჭადრაკო სამყაროსთვის უკვე კარგად ცნობილმა თბილისელმა მოჭადრაკემ ნანა გაგნიძემ. ამ გოგონამ 7 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა, რაც ბრწყინვალე შედეგია და 1,5 ქულით გაუსწრო მეორე პრიზიორ უკრაინელ ნატალია ზდებსკაიას, მეორე იყო ასევე უკრაინელი მარია კურსოვა – 5 ქ. ამ ასაკის ბიჭებში თბილისელმა ლევან ფანცულაიამ მხოლოდ 4 ქულა მოაგროვა და კოეფიციენტით VIII ადგილს დასჯერდა (იყოფდა VII-XI ადგილებს). 14 წლამდე გოგონებიდან თელაველი ბელა ხომენაშვილი 4,5 ქულით V ადგილზე დარჩა კოეფიციენტის შეფარდებით (იყოფდა V–VII ადგილებს), ბათუმელი გაიოზ ნიგალაძე კი ბიჭების ტურნირში IX იყო (იყოფდა VII-IX ადგილებს).

ჩვენი ცხენოსნისა არ იყოს, განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ოზურგეთელი მძლეოსნის მამუკა ტულუშის წარმატება, რომელმაც ბირთვი სტყორცნა 18 მეტრსა და 69 სანტიმეტრზე, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ვერცხლის მედლის მოსაპოვებლად. ეს, რაც შეეხება წარმატებებს. ცხადია, იყო წარუმატებლობაც, რასაც ჩვენი მკითხველი ანალიტიკურად გაეცნობა „ლელოს" უახლოეს ნომერში შემოთავაზებულ საბოლოო ტექნიკურ შედეგებში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თამაშებმა ჩვენთვის ბრწყინვალედ ჩაიარა. ჩვენ შევძელით მედლების მოპოვება არა ერთ და ორ, არამედ სპორტის რამდენიმე სახეობაში, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ბევრი უცხოელისთვის წარმოუდგენელი ჩვენი სიძნელეების მიუხედავად, ქართული სპორტი ცოცხლობს. გადავხედოთ მედლების რაოდენობას და ხარისხს. საქართველოს გოგო-ბიჭებმა სულ 13 მედალი დაიმსახურეს. აქედან ყველაზე მეტია ოქროსი – 5, ვერცხლისა – 4 და ამდენივე ბრინჯაოსი. თუ ჩავთვლით, და ეს ასეცაა, რომ ეს იყო დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების, ანუ მთელი საბჭოთა კავშირის ყოფილი სივრცე და რსფსრ-ის რეგიონებს მართებულად მივათვლით რუსეთის ერთიან დელეგაციას, გამოდის, რომ იმ 15 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მედლების რაოდენობით მეოთხე ადგილზე ვართ რსფსრ-ის, უკრაინისა და ბელარუსის სპორტული დელეგაციების შემდეგ, რაც, უდავოდ საამაყო მიღწევაა.



ძნელია არ დაეთანხმო თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსს, ჩვენი სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს დავით ჭელიძეს, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა:„ არ შეიძლება იმის თქმა, რომ რაც მოვიპოვეთ, მიზანმიმართული ხანგრძლივი მზადების შედეგია. პირიქით, ერთი შეკრებაც არ ჩატარებულა უსახსრობის გამო. წარმატებებს მივაღწიეთ ძირითადად ჩვენი ბავშვების ნიჭიერების წყალობით. იქნებ ამ თვალსაჩინო გამარჯვებამ მაინც შემოაბრუნოს ყველა ბავშვთა სპორტისკენ".

როცა დელეგაციები ერთმანეთში თავიანთი ქვეყნების მიერ თამაშებისთვის გაწეულ ხარჯებზე საუბრობდნენ, ჩვენი შტაბის ხელმძღვანელს მერაბ მეტრეველს ჰკითხეს თუ რამდენი გაიღო ჩვენმა ქვეყანამ. თქვენ რამდენს ფიქრობთო, კითხვა შეუბრუნა ჩვენიანმა. „რაკი 13 მედალი გაქვთ მოპოვებული, ალბათ 2 მილიონ დოლარამდე გაიღებდით მოსამზადებლად" – იყო პასუხი. მერაბმა „თავმომწონედ" დაუდასტურა... და იქვე ჩაილაპარაკა ქართულად: „კვერი დავუკარი, რა მექნა, ეროვნული თავმოყვარეობა გადავარჩინეო".

არ ვიქნებით ობიექტურები ლირსეულად რომ არ შევაფასოთ თამაშების ორგანიზატორების გრანდიოზული შრომა. ბევრ კომპლექსურ ასპარეზობას დავსწრებივარ საბჭოთა კავშირში თუ უცხოეთში, მაგრამ ასე ლამაზად, შთამბეჭდავად, მასპინძლობის თვალსაზრისით უნიკალური, არსად არასდროს მინახავს. ყველაფრის აღწერა შეუძლებელია, ასეთი მაღალი დონე თვით ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებსაც შეშურდებოდათ. მაგრამ, მსაჯობამ, ისევე როგორც ეს ოლიმპიურ თამაშებზე თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ხდება, აქაც გააფერმკრთალა საერთო შთაბეჭდილება. ყველაზე დასანანი კი ის იყო, რომ სპორტის რუსეთელი ფუნქციონერები ქედმაღლურად და ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ მათ 900 მილიონი რუბლი გაიღეს და მათ ხარჯზე მიწვეულ სტუმრებს მედლებს ვერ გაატანდნენ...

როგორც ამბობენ, თამაშები ტრადიციული გახდება, იგი მონაცვლეობით ჩატარდება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. შემდეგი ლონისძიების მასპინძლობას აპირებდა უკრაინა, მაგრამ ბოლო დღეს გადაიფიქრა, თამაშების დროშა ისევ მოსკოვის მერმა, ამ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ იური ლუჟკოვმა ჩაიბარა...

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**მოსკოვი– თბილისი**

**P.S.** გუშინ, საღამოს საქართველოს სპორტული დელეგაცია მოსკოვიდან თბილისს დაბრუნდა.
„ლელო" თამაშების დაწვრილებით ანგარიშს და თავჩენილ პრობლემებს კვლავ დაუბრუნდება.

## რბენის მოყვარულთა საყურადღებოდ!

საქართველო
GEORGIA

2002 წლის 30 ივნისს სტარტი მიეცემა ტრადიციულ მძლეოსნურ გარბენს, მიძღვნილს საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი.

მონაწილე ორგანიზაციების რეგისტრაცია მოხდება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (დავით აღმაშენებლის 65, ტელ. 95-36-87) 25 ივნისიდან.

საორგანიზაციო კომიტეტი

## საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი მძლეოსნური გარბენის სქემა

*ქ. თბილისი, 2002 წელი 30 ივნისი, 11 საათი*




## კობა კობალაძეს — საპატიო შავი ქამარი!

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციისა (პრეზიდენტი კახა ბასილია) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურების ურთიერთთანამშრომლობა წარმატებით გრძელდება. ორთაბრძოლის ეს სახეობა ჩვენი მეომრების მომზადების შემადგენელი ნაწილი გახდება. სწორედ ამ მიზნით შეიკრიბნენ სათათბიროდ კარატე-დოს ფედერაციისა და ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელები.

დღემდე გაწეული თანამშრომლობისა, დაფასებისა და მომავალი ურთიერთობების გაღრმავების სიმბოლურ აქციად იქცა გვარდიის მთავარ სამმართველოში გამართულ ამ შეხვედრაზე ამ სამმართველოს უფროსის ეროვნული გვარდიის გენერალ მაიორის კობა კობალაძის დაჯილდოება კარატე-დოს საპატიო შავი ქამრით, რომელიც გენერალს კახა ბასილიამ გადასცა.


კახა ბასილია შავი ქამრის მოწმობას გადასცემს გვარდიის გენერალ-მაიორ კობა კობალაძეს (მარცხნივ)

ორივე მხარე იმის ღრმა რწმენით დაშორდა ერთმანეთს, რომ ახლო მომავალში მათი თანამშრომლობა ფართომასშტაბიან მიმართულებას შეიძენს.




# მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, შიდა ქართლი....

საგარეჯოში დამთავრდა რეგიონალური გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში 1984-1985 წლებში დაბადებულთა შორის.

გუნდური პირველობა მოიპოვა მცხეთა-მთიანეთის ნაკრებმა (მწვრთნელები ზაურ და ვაჟა პავლიაშვილები). მეორე იყო კახეთი, მესამე – შიდა ქართლი. სულ ასპარეზობაში შვიდი მხარის (რეგიონის) ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. (თბილისი, შიდა ქართლი, აჭარა, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, მესხეთი).

გამარჯვებული გუნდის ღირსებას იცავდნენ: შმაგი სონიშვილი (60 კგ). ლევან ღარიბაშვილი (65), გიგა სოლოღაშვილი (70), გიორგი ბაინდურაშვილი (75), რამაზ გულიაშვილი (80), თევდორე აბელაშვილი (90), ლევან გორგაძე (+90).




ფოტოები რობერტ ბაგოიანისა



## ? შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** გამიგია, რომ იყო ვინმე მოჭიდავე მეტსახელად „კამბეჩუა". გთხოვთ მიპასუხოთ, თუ მართლა იყო ასეთი ფალავანი, ვინ არის იგი?

*გია დარახველიძე,*
*რუსთავი, IX კლ. მოსწავლე*

**პასუხი:** დიახ, ასეთი მოჭიდავე ნამდვილად იყო — სიღნაღელი ვანო აბულაშვილი (1872-1948), რომელსაც მეტსახელად ხალხმა „კამბეჩუა" შეარქვა დიდი ფიზიკური ძალის გამო

# ბავშვთა ფეხბურთი

## დღესასწაულის საკადრისი ტურნირი

თელეთობის (ამაღლების) დღესასწაულს დაემთხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა ნაკრების წევრის, ტრაგიკულად დაღუპული გოჩა (გურულო) გურულიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში — 1991 და 1992 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბოლნისის, ნახიდურის, ვარკეთილის, გამარჯვების, თეთრიწყაროს გუნდები, აგრეთვე „მადნეული — 2002", „შავნაბადა" — თელეთი, „XXI საუკუნე" და „არახელო" (აზერბაიჯანი).

1991 წელს დაბადებულთა ტურნირში გაიმარჯვა „XXI საუკუნემ" (მწვრთნელი გივი ბუაძე, საფეხბურთო სკოლის დირექტორი გია ლეჟავა), რომელიც მთავარ პრიზს მესამედ დაეუფლა.

მეორე ადგილზეა ბოლნისის „სიონი" (მწვრთნელი ტარიელ ჯაველიშვილი, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მურთაზ კორძაძე), მესამეზე — „მადნეული 2002" (მწვრთნელები თამაზ ასლანიშვილი, ჯონი ჯოგლიძე).

1992 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ტურნირში ყველას აჯობა „შავნაბადა" — „თელეთის" გუნდმა (მწვრთნელები ი. მეშველიანი, ნ. ვალიშვილი, ლ. დემეტრაშვილი, საფეხბურთო სკოლის დირექტორი გივი გურულიშვილი. მეორე ადგილზე გავიდა შპს გამარჯვების გუნდი (მწვრთნელები დომენტი ჩაფიძე, ვიქტორ ჯაჭვაძე), მესამეზე — აზერბაიჯანული კლუბი „არახელო" (მწვრთნელი მამედ იუსუბოვი).

საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა ირაკლი ძაგანიას („შავნაბადა" — თელეთი), მცველისა — ბესიკ ჯაველიშვილს („სიონი"), ნახევარმცველისა — გაგა პაიკიძეს („XXI საუკუნე"), თავდამსხმელისა — თორნიკე გურულიშვილს („შავნაბადა"), ბომბარდირისა — ბექა ყაფლანიშვილს („მადნეული"), ტექნიკური მოთამაშისა — მამედ ალიზადეს. პერსპექტიულ ფეხბურთელებად ჟიურიმ დაასახელა გიორგი ჯაფარიძე („გამარჯვება"), ლაშა ხმალაძე და თორნიკე ღამბაშიძე (ორივე — „მადნეული-2002"), გიორგი გიორბელიძე, ჯაბა უგულავა (ორივე —„სიონი"), რამაზ ზარნაძე, გიორგი გობეჯიშვილი, ნიკა გიგაური, ტუხა შერმაზანაშვილი (ყველა — „შავნაბადა" — თელეთი), პავლე წიკლაური, ონისე კიკალეიშვილი (ორივე — „XXI საუკუნე"), ოსმან ვალიევი („არახლო").

ტურნირს ესწრებოდნენ ჩვენი სასიქადულო ვეტერანი სპორტსმენები და სპეციალისტები დავით ციმაკურიძე, ქრისტეფორე ნინიაშვილი, ოთარ კანდელაკი, სპორტის ფუნქციონერები, რომლებმაც ჯილდოები გადასცეს გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარება უზრუნველჰყო გარდაბნის რაიონის განათლების გოჩა (გურულო) გურულიშვილის სახელობის საფეხბურთო სკოლის დირექტორმა გივი გურულიშვილმა, რომელსაც თავის მხრივ დიდი დახმარება გაუწია სპორტის ერთგულმა თანამდგომმა, გარდაბნის რაიონის გამგებელმა ნუგზარ ფერიაშვილმა, მისმა მოადგილემ დემურ ავალიანმა, განათლების განყოფილების გამგემ თენგიზ თუმანიშვილმა.

რამაზ მენაბდე




«შავნაბადა-თელეთი».
I ადგილი. დგანან (მარცხნიდან): ზ. მოსიკაშვილი, გ. გობეჯიშვილი, გ. ჰუნაშვილი, გ. გურულიშვილი, ბ. ტაბატაძე, გ. ასლამაზიშვილი, ნ. გიგაური, თ. ლეშკაშელი; სხედან: გ. ტაბატაძე, ვ. მასხულია, თ. გურულიშვილი, ვ. კოდელაშვილი, ლ. ელიზბარაშვილი, ბ. მერაბიშვილი.

**მწვრთნელები:**
ნუკრი ვალიშვილი,
ლევან დემეტრაშვილი.

•

*ფოტოები*
*რობერტ ბაგოიანისა.*

საქართველოს და საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების წევრის გოჩა (გურულო) გურულიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი







«XXI საუკუნე»
მარცხნიდან მარჯვნივ
I რიგი: ნ. რევია, ო. კიკალეიშვილი; ლ. ჯაკობია, ვ. წიკლაური; გ. უბირია; დ. ნიკოლაშვილი.
II რიგი: გ. ბასილაშვილი, შ. გუწრიშვილი, ბ. შავლოხაშვილი, ვ. გაჩეჩილაძე, ლ. დემეტრაშვილი, თ. ტყებუჩავა.
III რიგი: ა. შეყილაძე, ბ. იმნაძე, რ. მესხი, ს. სიხარულიძე, ი. ჯიხვაძე, გ. ქართველიშვილი.
IV რიგი: კ. ჯუმბურიძე, ი. ბერიძე, გ. ფრანგიშვილი, გ. ჰაბუკიანი, შ. მაძღარაშვილი, ზ. კახიძე.
V რიგი: თ. მანოშვილი, ლ. გიორგაძე, მ. გოგიტიძე, გ. ხიზანიშვილი, ზ. ბასილაშვილი.
VI რიგი: ბ. თალაკვაძე, ლ. თხილავა, მ. კაპანაძე, გ. შელია, ს. ქართველიშვილი.
უფრ. მწვრთნელი გივი ბუაძე (სპორტის დამსახურებული მუშაკი).

*ფოტო რობერტ ბაგოიანისა*



II ადგილი
ბოლნისის
«სიონი»





# მერაბ ჟორდანია: დღეს იყო აღმასკომის სხდომის ჩაშლის მცდელობა, ქართულ ფეხბურთში დაპირისპირებას არ დავუშვებ!

ასეთი კატეგორიული განცხადებით გააგრძელა სფფ-ს აღმასკომის XVIII სხდომა სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ. მიზეზი კი სხდომაზე აღმასკომის ძველი წევრების მოულოდნელი გამოჩენა იყო. განსაკუთრებით თემურ ჰყონია აქტიურობდა და დასწრებას ხმის უფლებით ითხოვდა, თუმცა ამის უფლება მას დებულებით კარგა ხანია ჩამორთმეული ჰქონდა, რადგან ამ შემადგენლობის სფფ-ს აღმასკომის სხდომებს ოთხი წლის მანძილზე იგი მხოლოდ ორჯერ დაესწრო, რამაც ავტომატურად გამოიწვია აღმასკომის წევრობის უფლებამოსილების მოხსნა. კამათმა კარგახანს გასტანა, რაც მერაბ ჟორდანიას ზემოთქმულით დასრულდა. შემდეგ სიტყვა ითხოვეს პრეზიდენტობის კანდიდატებმა. საფეხბურთო კლუბ „მრეტების“ პრეზიდენტმა ვაჟა ჩხაიძემ, მოითხოვა ყრილობის ჩატარების ყველა დოკუმენტი და დასაბუთება იმისა, თუ რამდენად ლეგიტიმურია დღევანდელი აღმასკომი და არის თუ არა ქვორუმი. პრეზიდენტობის მეორე კანდიდატმა დავით პეტრიაშვილმა სფფ-ს სამართლებრივი სტრუქტურა დაიწუნა. თუმცა აღსანიშნავია უკანონო და მცდარი აღმასკომის გუშინდელ მუშაობაში არაფერი ყოფილა. აღმასკომის 17 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 14. მერაბ ჟორდანიამ ბოლოს ისიც თქვა, რომ ჰქონდა ინფორმაცია სხდომის ჩაშლის მცდელობის შესახებ რაშიაც ზოგიერთის ქცევამ საბოლოოდ დაარწმუნა.

სხდომამ დღის წესრიგით მუშაობა გააგრძელა. დამტკიცდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები. რეგისტრაციაში გატარდნენ სფფ-ს ყრილობის დელეგატები. შეჯამდა განვლილი ჩემპიონატის შედეგები და დამტკიცდა XIV ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი. სფფ-ს ლოგოსა და დროშის თაობაზე მსჯელობისას აღმასკომმა საბოლოო გადაწყვეტილებისთვის დრო ითხოვა. სხდომაზე მეოთხე საკითხად თბილისის „დინამოს“ ირგვლივ არსებულ ვითარებაზე იმსჯელეს. „დინამოს“ ძველმა მეპატრონემ ჯონი გიგანმა და ახლანდელთა წარმომადგენელმა, იურისტმა ნიკა კობლავამ კლუბის ლეგიტიმურობის თაობაზე თავიანთი არგუმენტები წარმოადგინეს. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ „დინამო“ თბილისის და თბილისის „დინამოს“ წარმომადგენლები ერთად დასხდებიან სათათბიროდ და მესამე პირის ჩაურევლად შეეცდებიან მიაღწიონ კონსენსუსს.

## ახლა კი გავეცნოთ ვინ არიან სფფ-ს აღმასკომის წევრები, ვის როდის გაახსენდა, რომ ეს ფუნქცია აკისრია და რა პრეტენზიები გააჩნიათ დღეს.

**აღმასკომის წევრთა სია**

1. მერაბ ჟორდანია
2. ალექსანდრე ჩივაძე
3. ვალერი ჩოლარია
4. თემურ ჰყონია
5. გურამ ქარქაშაძე
6. ომარ გოგიაშვილი
7. ლევან გაჩეჩილაძე
8. გივი შულაროვი
9. ზაზა ბოკერია
10. დავით ტურაშვილი
11. ნიკო დოლიძე
12. დავით გამყრელიძე
13. რომან შოთაძე
14. დემურ ლელაძე
15. ნიკო ლეკიშვილი
16. გოგი თოფაძე
17. მურად ანჯაფარიძე
18. იმედო დუნდუა
19. ოთარ ჭითანავა
20. გურამ ფილიპაშვილი
21. გოჩა როსტომაშვილი
22. ემზარ ზენაიშვილი
23. მამუკა ხაზარაძე
24. თემურ ხოხობაია
25. ნოდარ დიასამიძე
26. ანატოლი მილჩენკო

აღმასკომის წევრებს, რომლებიც 1999 წლის 6 მაისის შემდეგ არ დასწრებიან აღმასკომის სხდომას (თ. ჰყონია, ლ. გაჩეჩილაძე, დ. გამყრელიძე, ნ. ლეკიშვილი, მ. ხაზარაძე) ერთი წლის განმავლობაში კიდევ ეგზავნებოდათ სფფ-ს ოფიციალური დოკუმენტაცია, მიწვევები აღმასკომის სხდომაზეც; ეროვნული ნაკრების მატჩების ბილეთები, სფფ-ს ბიულეტენი და სხვა. მათი მხრიდან არავითარი რეაგირება არ ყოფილა, არც დაინტერესებულან, ტარდება თუ არა სხდომები, რა საკითხები იხილება და ა.შ. მათ თავიანთი მოქმედებით თავადვე დააყენეს თავი აღმასკომის საქმიანობის მიღმა. სფფს ხელმძღვანელებთან შეთანხმებით 2000 წლის 14 აგვისტოს გადაწყდა, რომ მათთვის აღარ მიმეწოდებინა ოფიციალური მასალები და არც აღმასკომის სხდომებზე მომეწვია.

**მამუკა კვარაცხელია,**
სფფ-ს პრეს-ატაშე

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის V საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დელეგატთა სია (გადამწყვეტი ხმის უფლებით)

| გვარი, სახელი | წარმომადგენლობა |
|---|---|
| 1. აიწურაძე რევაზი | საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი |
| 2. ანჯაფარიძე მურადი | აფხაზეთის რეგიონული ფფ |
| 3. არველაძე რევაზი | ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი |
| 4. ასათიანი ვახტანგი | სფფ-ს სარევიზიო კომისია |
| 5. ასათიანი კახი | საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი |
| 6. ბაგრატიონი ჯანსუღი | საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი |
| 7. ბეჟანიძე თემური | ს.კ. ბათუმი „დინამო“ |
| 8. ბირკაია ლაშა | ს.კ. „დინამო-2“ თბილისი |
| 9. ბოკერია ზაზა | სფფ-ს აღმასკომი |
| 10. გიორგაძე ბახვა | ს.კ. ოზურგეთის „მერცხალი“ |
| 11. გოგიაშვილი ომარი | სფფ-ს აღმასკომი |
| 12. გოგიტიძე თენგიზი | ს.კ. „ქობულეთი“ |
| 13. გრძელიშვილი ვიტალი | მცხეთა-თიანეთის რეგიონული ფფ |
| 14. გუცაევი ვლადიმერი | ს.კ. „მცხეთა“ |
| 15. დალაქიშვილი ნოდარი | შიდა ქართლის რეგიონული ფფ |
| 16. დოლიძე ნიკოლოზი | სფფ-ს აღმასკომი |
| 17. დურგლიშვილი გურამი | საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაცია |
| 18. ელოშვილი ვლადიმერი | საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი |
| 19. ზენაიშვილი ემზარი | სფფ-ს აღმასკომი |
| 20. თევზაძე ენუქი | ს.კ. ხობის „კოლხეთი“ |
| 21. ინალიშვილი გელა | სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფფ |
| 22. კაკაურიძე მალხაზი | ს.კ. თსუ |
| 23. კაკილაშვილი ნუგზარი | ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი. |
| 24. კოკაია ავთანდილი | თბილისის რეგიონული ფფ |
| 25. კოტრიკაძე სერგო | ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი“ |
| 26. ლელაძე დემური | სფფ-ს აღმასკომი |
| 27. ლომაძე ალბერტი | ს.კ. ლანჩხუთის „გურია“ |
| 28. მამალაძე ანზორი | ს.კ. თბილისის „მერანი“ |
| 29. მდივანი ნუგზარი | ს.კ. ზესტაფონის „მეტალურგი“ |
| 30. მეძმარიაშვილი ირაკლი | საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი |
| 31. მილჩენკო ანატოლი | სფფ-ს აღმასკომი |
| 32. მინდელი ლაშა | ქვემო ქართლის რეგიონული ფფ |
| 33. მჭედლიშვილი ილარიონი | საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი |
| 34. ნასყაშვილი ზაქარია | ს.კ. „ცხინვალი“ |
| 35. ნოდია გივი | ს.კ. „დინამო“ თბილისი |
| 36. რევაზიშვილი რევაზი | საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი |
| 37. როსტომაშვილი გოჩა | კახეთის რეგიონული ფფ |
| 38. რუხაძე გურამი | ს.კ. თბილისის „ვიტ ჯორჯია“ |
| 39. სორდია გარი | იმერეთის რეგიონული ფფ |
| 40. სოფრომაძე ზაზა | ს.კ. წყალტუბოს „სამგურალი“ |
| 41. ფილიპაშვილი გურამი | სფფ-ს აღმასკომი |
| 42. ფირცხალაიშვილი მარიამი | ს.კ. წნორის „მილანი“ |
| 43. ქავთარაძე ბესიკი | ს.კ. რუსთავის „გორდა“ |
| 44. ქარქაშაძე გურამი | სფფ-ს აღმასკომი |
| 45. ქოიავა თენგიზი | ს.კ. ფოთის „კოლხეთი“ |
| 46. ქოიავა მიხეილი | ს.კ. ქუთაისის „ტორპედო“ |
| 47. ღვაბერიძე ტარიელი | ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი-3“ |
| 48. შეროზია ბესიკი | ს.კ. ზუგდიდის „ლაზიკა“ |
| 49. შოთაძე რომანი | სფფ-ს აღმასკომი |
| 50. შულაროვი გივი | სფფ-ს აღმასკომი |
| 51. ჩივაძე ალექსანდრე | სფფ-ს აღმასკომი |
| 52. ჩიჩუა მალხაზი | აჭარის რეგიონული ფფ |
| 53. ჩოლარია ვალერი | სფფ-ს აღმასკომი |
| 54. ჩხაიძე დურმიშხანი | გურიის რეგიონული ფფ |
| 55. ჩხეიძე გელა | ს.კ. გორის „დილა“ |
| 56. ჭითანავა ოთარი | სფფ-ს აღმასკომი |
| 57. ხოხობაია ვლადიმერი | სფფ-ს აღმასკომი |
| 58. ხურცილავა მურთაზი | საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი |
| 59. ჯაფარიძე ზურაბი | ს.კ. ბოლნისის „სიონი“ |
| 60. ჯოჯუა მიხეილი | საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი. |

*შენიშვნა: წარმომადგენელ სიას დაემატება პირველ ლიგაში გადასული ხაშურის „ივერიის“ წარმომადგენელი.*

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის V საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დელეგატთა სია (სათათბირო ხმის უფლებით)

| | |
|---|---|
| 1. ადეიშვილი ლევანი | აჭარის რეგიონული ფფ |
| 2. ბალაძე ასლანი | ს.კ. ბათუმის „დინამო“ |
| 3. ბარამია ბორისი | სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფფ |
| 4. ბურდული გიორგი | კახეთის რეგიონული ფფ |
| 5. გაბელია ოთარი | ს.კ. თბილისის „მერანი“ |
| 6. გაგუა იოსები | გურიის რეგიონული ფფ |
| 7. გვაზავა ელგუჯა | აფხაზეთის რეგიონული ფფ |
| 8. დალაქიშვილი ზურაბი | შიდა ქართლის რეგიონული ფფ |
| 9. ვარდოსანიძე მამუკა | შიდა ქართლის რეგიონული ფფ |
| 10. თავბერიძე ბენო | გურიის რეგიონული ფფ |
| 11. იხიანი გია | ს.კ. „დინამო“ თბილისი |
| 12. კაკაბაძე ედიშერი | აჭარის რეგიონული ფფ |
| 13. კალანდაძე ანდრო | მცხეთის რეგიონული ფფ |
| 14. კარანაძე დათო | ქვემო ქართლის რეგიონული ფფ |
| 15. კაჭახიძე ამირანი | ს.კ. ბოლნისის „სიონი“ |
| 16. კვარაცხელია მალხაზი | ქვემო ქართლის რეგიონული ფფ |
| 17. კილასონია ვარლამი | ს.კ. რუსთავის „გორდა“ |
| 18. კობალაძე არჩილი | თბილისის რეგიონული ფფ |
| 19. კუჭუხიძე კონსტანტინე | აფხაზეთის რეგიონული ფფ |
| 20. ლაბაძე მარლენი | ს.კ. რუსთავის „გორდა“ |
| 21. ლობჟანიძე ზურაბი | ს.კ. ბოლნისის „სიონი“ |
| 22. ლომიძე გოჩა | ს.კ. გორის „დილა“ |
| 23. მამალაძე ვახილი | ს.კ. თბილისის „მერანი“ |
| 24. მაჩხელიანი ვალერი | ს.კ. ბათუმის „დინამო“ |
| 25. მიხანაშვილი ალექსი | ს.კ. გორის „დილა“ |
| 26. ნიშნიანიძე გურამი | იმერეთის რეგიონული ფფ |
| 27. პაპიაშვილი გია | მცხეთა-თიანეთის რეგიონული ფფ |
| 28. რამიშვილი დიმიტრი | ს.კ. ქუთაისის „ტორპედო“ |
| 29. რატიანი მერაბი | თბილისის რეგიონული ფფ |
| 30. სამუშია დავითი | ს.კ. თბილისის „ვიტ ჯორჯია“ |
| 31. ტოგონიძე რაჟდენი | ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი“ |
| 32. ფირცხალავა გიორგი | ს.კ. „დინამო“ თბილისი |
| 33. ფირცხალაიშვილი დავითი | ს.კ. თბილისის „ვიტ ჯორჯია“ |
| 34. ფირცხალაიშვილი ზვიადი | ს.კ. წნორის „მილანი“ |
| 35. ღვედაშვილი ტარიელი | ს.კ. წნორის „მილანი“ |
| 36. ღიბრაძე გია | ს.კ. ზესტაფონის „მეტალურგი“ |
| 37. შელია გურამი | სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფფ |
| 38. ჩილაჩავა მალხაზი | ს.კ. ფოთის „კოლხეთი“ |
| 39. ჩუბინიძე ზაური | ს.კ. ზესტაფონის მეტალურგი |
| 40. ძოძუაშვილი რევაზი | ს.კ. ქუთაისის „ტორპედო“ |
| 41. ჭიაურელი ილია | კახეთის რეგიონული ფფ |
| 42. ხაინდრავა ვახტანგი | ს.კ. ფოთის „კოლხეთი“ |
| 43. ხაჟალია ჯუმბერი | იმერეთის რეგიონული ფფ |
| 44. ჯიშკარიანი გია | ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი“ |

*შენიშვნა: დაემატება პრეზიდენტობის სამი კანდიდატი და ბავშვთა ფეხბურთის წარმომადგენლები, სფფ-ს აღმასკომის გუშინდელი გადაწყვეტილების მიხედვით.*

## „იბერია“ პირველ ლიგაში

კვირას გაირკვა პირველი ლიგის კიდევ ერთი ბინადარი. ხაშურის „ივერიამ“ უშედეგო ორთაბრძოლაში პენალტების სერიაში 5:3 აჯობა ვანის „სულორს“ და პირველი ლიგის საგზური მოიპოვა. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ 0-0 დასრულდა. XIV ეროვნულ ჩემპიონატში პირველი ლიგის დებიუტანტები იქნებიან: მცხეთის „მცხეთა“, ოზურგეთის „მერცხალი“ და ხაშურის „ივერია“.

**28 ივნისს, 15 საათზე საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის ოფისში გაიმართება კავშირის IV ყრილობა. ვეტერან ფეხბურთელთა დასწრება სავალდებულოა.**

## სპარსელებმა ფიზიკაში გვაჯობეს

**23 ივნისი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი**

**საქართველო – ირანი 0-1 (ახალგაზრდული ნაკრებები)**

*საქართველო:* მამალაძე (ივარდავა 84), რ. სვანაძე (რ. ახალკაცი 52), დ. ზაზაშვილი (ი. ცინარიძე 78), ს. [illegible]ბელაძე, თ. უგრეხელიძე, ი. შენგელია (ზვ. ლაბაძე 59), დ. სირაძე (კოშკაძე 27), დვალიშვილი (ლ. სალუქვაძე 46), მ. ასათიანი (თ. სულაქველიძე 82), ლ. ახალაია (დ. ჩილვინაძე 78), ც. ხუროძე (ბ. სალარეიშვილი 78).

*ირანი:* ატალი, მარდუნი (ბაველფარდი 83), აკბარი (არზანეი 73), რეზაი, მეირტორუი, ჰამრანი, ნორი (ჯაბარეი 68), ჰეიდარი (ამეინიფარი 83), ზუდმაჰ მუდი (ზანჟანეი 76), ჯამშეიდეიანი, ახმადზადენი (მოჰიმე 62).

*გოლი:* 0-1 მოჰიმე (70)

*გააფრთხილეს:* ზვ. ლაბაძე, აკბარი.

*მსაჯები:* ლ. ფანიაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. მენთეშაშვილი, ო. ხეცაძე

*დელეგატი:* ა. მილჩენკო.

ორიოდე დღის შეკრებილმა ქართველმა ოლიმპიელებმა ვერაფერი გააზრებული ვერ დაუპირისპირეს ირანელ სტუმრებს. მასპინძლთა თითოეული ფეხბურთელი ცალკე კარგად თამაშობდა, რომ შორსაა მათგან ის სპორტული ფორმა, რომელიც გუნდს მწყობრი თამაშის საშუალებას მისცემდა. განსაკუთრებული კლასი, არც ირანელებს გამოუმჟღავნებიათ, თუმცა უფრო ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება კი დატოვეს მცირერიცხოვან მაყურებელზე. პირველ ტაიმში კოპალეიშვილის შეგირდებს მხოლოდ რამდენიმე შეტევა გამოუვიდათ. ირაკლი შენგელია მერვე წუთზე შეეცადა კარში დარტყმას, მაგრამ ახლო მანძილიდან ააცილა. ხელსაყრელი მომენტი ირაკლის კიდევ ჰქონდა, მაგრამ ამჯერადაც არაზუსტად ითამაშა. ირანე-



ლთა შეტევები გაცილებით სახიფათო იყო, ზუსტი დარტყმები კი მათაც არ გამოსდიოდათ. მეორე ტაიმში, თითქმის, არაფერი შეცვლილა. მასპინძლები მძიმედ ირჯებოდნენ, სტუმრებიც, რაღაცას ცდილობდნენ. ტაიმის მსვლელობაში მწვრთნელებმა თექვსმეტი ცვლილება განახორციელეს. კოპალეიშვილმა ცხრავე სათადარიგო ფეხბურთელი გამოიყვანა მინდორზე. ერთადერთი შეტევა, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა ირანელებს გამოუვიდათ. შეცვლაზე შემოსულმა მაჰმუდ მოჰიმემ სტუმართა გამარჯვებისა გოლი გაიტანა. ნებისმიერი რანგის მატჩის წაგება საწყენია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები წლეულს, ახალი სეზონის დაწყებამდე პირველად შეიკრიბა. ფეხბურთელთა უმრავლესობა შვებულებიდან ახლახან დაბრუნდა და მინდორზე სულაც პირველად გავიდა. ქართველ ოლიმპიელებს სარევანშოდ ხვალინდელი დღე რჩებათ, ნაკრებთა მეორე მატჩი ისევ ეროვნულზე გაიმართება და ისევ 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები.*

# ბელგიური ვოიაჟი

**ლოკარენი (ბელგია) — ვიტ ჯორჯია (საქართველო) 3–1**

*ლოკერენი:* ვან დერ იოგტი, კატანა, გრეტარსონი, კრისტირსონი, დე ბოილი, სოლეი, სილა (ვან ჰუი 75), მუზინგა, კულიბალი, კონტე, ზუნდი (კიმოტო 46).

*ვიტ ჯორჯია:* მერლანი, კვახაძე, ინწკირველი, კობიაშვილი, მერებაშვილი, (ფეიქრიშვილი 34), ნოზაძე, დიდმელაშვილი, დოლიძე, გოჩაშვილი, ყიფიანი (თევდორაძე 63), ადამია (წუწუნავა 83).

*გააფრთხილეს:* კიმოტო, ინწკრიველი, გოჩაშვილი, ფეიქრიშვილი.

*გააძევეს:* ფეიქრიშვილი

*მსაჯი:* ს. ზრნიჩი (ბოსნია)

ბელგიაში მელქაძისა და იაშვილის გარეშე დარჩენილმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" ინტერტოტოს წლევანდელი თასის გათამაშების პირველი მატჩი ჩაატარა და „ლოკერენთან" დამარცხდა. მასპინძლებმა 3-1 მოიგეს, თუმცა მატჩის პირველი ნახევარი საათი თანაბარ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა. დოლიძემ 30-ე წუთზე გაქვითა ვიტელთა მიერ მე-18 წუთზე გაშვებული გოლი, მაგრამ ტაიმის ბოლოს ბელგიელები ისევ დაწინაურდნენ. მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე კი მესამე გოლიც გაუტანეს ათი ფეხბურთელით დარჩენილ სტუმრებს. სხვა მატჩები ასე დასრულდა:

***22 ივნისი***

კოლრეინი (ჩრ. ირლანდია) — სენტ ჯულია (ანდორა) 5-0

ცემენტარნიცა (მაკედონია) — ჰაფნარფიორდური (ისლანდია) 1-3

მარეკი (ბულგარეთი) — კაერსისი (უელსი) 2-0

ბატე (ბელარუსი) — აკადემისკი (დანია) 1-0

კონსტრუქტორული (მოლდოვა) — სინოტი (ჩეხეთი) 0-0

პარალიმნი (კვიპროსი) — ბრეგენცი (ავსტრია) 0-2

ლეირია (პორტუგალია) — ლევადია (ესტონეთი) 1-0

სტ. გალენი (შვეიცარია) — ბ 68 ტოფტირი (ფარერები) 5-1

ვალეტა (მალტა) — ტეუტა (ალბანეთი) 1-2

ჰონვედი (უნგრეთი) — ქალგირისი (ლიტვა) 0-1

რიეკა (იუგოსლავია) — სტ. პატრიკსი (ირლანდია) 3-2

დუკლა (სლოვაკეთი) — სლავენი (ხორვატია) 3-1

ციურიხი (შვეიცარია) — ბროტნიო (ბოსნია) 7-0

სანტა კლარა (პორტუგალია) — შირაქი (სომხეთი) 2-0

ლოკერენი (ბელგია) — ვიტ ჯორჯია (საქართველო) 3-1

1-0 ზუნდი (18), 1-1 დოლიძე (30), 2-1 გრეტარსონი (44), 3-1 კრისტინსონი (87)

***23 ივნისი***

ჰელსინგბორგი (შვედეთი) — კოპერი (სლოვენია) 1-0

გლორია (რუმინეთი) — უნიონი (ლუქსემბურგი) 2-0

ზაგლებე (პოლონეთი) — დინაბურგი (ლატვია) 1-1

ობილიჩი (იუგოსლავია) — ჰაკა (ფინეთი) 1-2

ბრნო (ჩეხეთი) — აშდოდი (ისრაელი) 0-5

# ვილარმა ფიფას მსაჯთა კომიტეტი დატოვა

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ანხელ მარია ვილარმა მიიღო გადაწყვეტილება, დატოვოს ფიფას მსაჯთა კომიტეტი. ამით ვილარმა გამოხატა პროტესტი კორეა-ესპანეთის მეოთხედფინალურ მატჩში არაობიექტური მსაჯობის მიმართ. შეგახსენებთ, რომ მსაჯმა არ ჩათვალა ესპანელთა მიერ გატანილი აშკარა გოლი და ამით მათ ხელიდან გამოჰგლიჯა გამარჯვება.

# ყაზახეთიც ევროპაა ● ლიგას კუნძულზე დავიწყებთ

**წლევანდელი ევრო ტურნირები ნამდვილად ისტორიულია. ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე პირველად იასპარეზებენ ყაზახური გუნდები. ჩვენთვის საინტერესო კი ისაა, რომ კარსმომდგარ ევროთასებზე ჩემპიონი „ტორპედო" ლიგაში ასპარეზობას პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერული „B-36 ტორსჰაგენთან" პაექრობით დაიწყებს. ეს გუნდი კუნძულელთა შვიდგზის ჩემპიონია, ორჯერ თასს ფლობდა. თუ ქუთათურები მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავლენ, მათ იქ გაცილებით ძლიერი და გამოცდილი ჩეხური პრაღის „სპარტა" ელოდებათ. უეფას თასზე, საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრაში არ გაუმართლა თბილისის „ლოკომოტივს". რკინისგზელთა პირველი მეტოქე, შარშან ქუთაისის „ტორპედოს" გამამწარებელი დანიური „კოპენჰაგენია". ასე რომ, სამხრეთ აფრიკელი სებუსისო ზუმა ისევ ეწვევა საქართველოს. თბილისის „დინამო" კი ესტონურ TVMK-ს შეხვდება. შანსებზე რა მოგახსენოთ. სამი გუნდიდან ორმა პირველი ეტაპი უეჭველად უნდა დასძლიოს.**

## ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

*1 მატჩები — 17 ივლისი, საპასუხოები — 24 ივლისი*

1. ტამპერე (ფინეთი) — პიუნიკი (სომხეთი)
2. სკონტო (ლატვია) — ბარი თაუნი (უელსი)
3. შემროკ როვერსი (ჩრდ. ირლანდია) — ბელშინა (ბელარუსი)
4. დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — ვარდერი (მაკედონია)
5. კაუნასი (ლიტვა) — დინამო (ალბანეთი)
6. ფლორა (ესტონეთი) — აპოელი (კვიპროსი)
7. ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — აკრანესი (ისლანდია)
8. ჰიბერნიანსი (მალტა) — შელბურნი (ირლანდია)
9. ტორპედო (საქართველო) — B 36 ტორსჰაგენი (ფარერები)
10. შერიფი (მოლდოვა) — ქენისი (ყაზახეთი)

## ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

*1 მატჩები — 31 ივლისი, საპასუხოები — 7 აგვისტო*

დინამო (უკრაინა) — 1 წყვილის გამარჯვებული

სპარტა (ჩეხეთი) — 9 წყვილის გამარჯვებული

ბრიუგე (ბელგია) — დინამო (რუმინეთი)

ბოავიშტა (პორტუგალია) — 8 წყვილის გამარჯვებული

10 წყვილის გამარჯვებული — გრაცერი (ავსტრია)

ბრონდბიუ (დანია) — 5 წყვილის გამარჯვებული

4 წყვილის გამარჯვებული — ლეგია (პოლონეთი)

ლილესტრიომი (ნორვეგია) — 7 წყვილის გამარჯვებული

ზალაეგერსეგი (უნგრეთი) — ზაგრები (ხორვატია)

მარიბორი (სლოვენია) — 6 წყვილის გამარჯვებული

2 წყვილის გამარჯვებული — ლევსკი (ბულგარეთი)

ჰამარბი (შვედეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია)

ჟილინა (სლოვაკეთი) — ბაზელი (შვეიცარია)

მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — 3 წყვილის გამარჯვებული

## უეფას თასი 2002-2003 — საკვალიფიკაციო ეტაპი

*1 მატჩები — 15 აგვისტო. საპასუხოები — 29 აგვისტო*

კოპენჰაგენი (დანია) — ლოკომოტივი (საქართველო)

დინამო (საქართველო) — TVMK ტალინი (ესტონეთი)

ლიტექსი (ბულგარეთი) — ატლანტასი (ლიტვა)

ენკამპი (ანდორა) — ზენიტი (რუსეთი)

ატირაუ (ყაზახეთი) — პუხოვი (სლოვაკეთი)

გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — ვისლა (პოლონეთი)

პობედა (მაკედონია) — მიდტიულანდი (დანია)

პრიმორიე (სლოვენია) — ზვარტნოცი (სომხეთი)

ვენტსპილსი (ლატვია) — ლუგანო (შვეიცარია)

ჰაპოელი (თელავივი, ისრაელი) — პარტიზანი (ალბანეთი)

აელი (კვიპროსი) — ფერენცვაროში (უნგრეთი)

ჰაიდუკი (ხორვატია) — გი გოტუ (ფარერები)

ბრანი (ნორვეგია) — სუდუვა (ლიტვა)

ამიცა (პოლონეთი) — ლანსანტფრეიდი (უელსი)

მეტალურგსი (ლატვია) — კერნტენი (ავსტრია)

ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ლივინგსტონი (შოტლანდია)

სლიმა უონდერერზი (მალტა) — პოლონია (პოლონეთი)

ანართოსისი (კვიპროსი) — გრევენმახერი (ლუქსემბურგი)

ლევადია (ტალინი, ესტონეთი) — მაკაბი (თელავივი, ისრაელი)

ლეიქსოეში (პორტუგალია) — ბელასიცა (მაკედონია)

სტაბეკი (ნორვეგია) — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)

სიგმა (ჩეხეთი) — სარაევო (ბოსნია)

ზიმბრუ (მოლდოვა) — გიოტებორგი (შვედეთი)

უიპეშტი (უნგრეთი) — კლაქსვიკარი (ფარერები)

მიუპა (ფინეთი) — ოდენსე (დანია)

დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ცსკა (ბულგარეთი)

სერვეტი (შვეიცარია) — სპარტაკი (სომხეთი)

იურგორდენი (შვედეთი) — შემროკ როვერსი (ირლანდია)

ვარტექსი (ხორვატია) — დანდალკი (ირლანდია)

გომელი (ბელარუსი) — ჰიკ (ფინეთი)

ნისტრუ (მოლდოვა) — აბერდინი (შოტლანდია)

ვესტმანაეიარი (ისლანდია) — აიკ (შვედეთი)

რაპიდი (რუმინეთი) — ნოვა გორიცა (სლოვენია)

დომანანო (სან მარინო) — ქიქკოვი (ჩეხეთი)

კაირატი (ყაზახეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)

მეტალურგი (ზაპოროჟიე, უკრაინა) — ბირკირკარა (მალტა)

ბანგორ სიტი (უელსი) — სარტიდი (იუგოსლავია)

კობა სენეცი (სლოვაკეთი) — შიროკი ბრიაგი (ბოსნია)

ტირანა (ალბანეთი) — ნაციონალი (რუმინეთი)

ფილკირი (ისლანდია) — მუსკრონი (ბელგია)

ავერინი (ლუქსემბურგი) — იპსვიჩ თაუნი (ინგლისი)

# ჰიდინკი ამჟამინდელ მიღწევას ყველაზე ძვირფასს უწოდებს

სამხრეთ კორეის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გუუს ჰიდინკი პირველი ადამიანი გახდა,



ვინც ორი სხვადასხვა ქვეყნის გუნდი მსოფლიო ჩემპიონატების ნახევარფინალურ ეტაპებამდე მიიყვანა.

ოთხი წლის წინ, საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე, მისი ხელმძღვანელობით, ჰოლანდიის ნაკრებმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

სხვათა შორის, თვით ჰიდინკი წლევანდელ მიღწევას უფრო აფასებს.

„ოთხი წლის წინათაც ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად დიდ წარმატებას მივაღწიე, თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ წლეულს ნახევარფინალში გავიდა გუნდი, რომელიც ახლო წარსულში [illegible] წარმოადგენდა და აშკარა აუტსაიდერად ითვლებოდა, — აღნიშნა ჰიდინკმა. — მე კორეელებთან ერთად, ფაქტიურად ნულიდან დავიწყე და ფანტასტიკური პროგრესი განვახორციელეთ".

***და ბოლოს, გთავაზობთ იმ მწვრთნელთა სიას, რომლებმაც თავიანთი ნაკრები გუნდები ორჯერ მიიყვანეს ნახევარფინალამდე:***

1. ვიტორიო პოცო (იტალია, 1934, 1938 წლები), 2. ზეპ ჰერბერგერი (გერმანია, 1954, 1958 წწ), 3. ენცო ბეარზოტი (იტალია, 1978, 1982), 4. ფრანც ბეკენბაუერი (გერმანია, 1986, 1990), 5. კარლოს ბილარდო (არგენტინა, 1986, 1990). აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ჰელმუტ შიონმა და მარიო ზაგალომ სამ-სამჯერ შეძლეს გერმანიისა და ბრაზილიის გუნდების გაყვანა ნახევარფინალში.

## ჩემპიონატის სტატისტიკა ● მეოთხედფინალები

**მატჩი №57. 21 ივნისი. შიზუოკა. იაპონია.**

**ინგლისი — ბრაზილია 1–2**

*ინგლისი:* სიმენი, მილსი, ფერდინანდი, კემპბელი, ე. კოული (შერინგემი 80), სქოულზი, ბექჰემი, ბათი, სინკლერი (დაიერი 56), ოუენი (ვასელი 79), ჰესკი.

*ბრაზილია:* მარკოსი, ედმილსონი, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ჟ. სილვა, კლებერსონი, კაფუ, რობ. კარლოსი, რივალდო, რონალდო (ედილსონი 70), რონალდინიო.

*გოლები:* 1-0 ოუენი (23), 1-1 რივალდო (45), 1-2 რონალდინიო (50).

*გააფრთხილეს:* სქოულზი, ფერდინანდი.

*გააძევეს:* რონალდინიო.

*მსაჯი:* ფელიპე, რამოს რისო (მექსიკა)

**მატჩი №58. 21 ივნისი. ულსანი. კორეა.**

**გერმანია — აშშ 1–0**

*გერმანია:* კანი, ლინკე, კელი, მეტელდერი, შნაიდერი (იერემისი 60), ჰამანი, ფრინგსი, ბალაკი, ციგე, კლოზე (ბირჰოფი 88), ნოივილი (ბოდე 80).

*აშშ:* ფრიდელი, მასტროენი (სტიუარტი 80), პოუპი, ბერჰალტერი, სანე, ობრადენი, ჰეიდუკი (ჯოუნსი 65), ლუისი, რეინა, დონოვანი, მაკბრაიდი (მეტისი 58).

*გოლი:* 1-0 ბალაკი (39)

*გააფრთხილეს:* ლუისი, პოუპი, კელი, ნოივილი, რეინა, მასტროენი, ბერჰალტერი.

*მსაჯი:* ჰიუ დალასი (შოტლანდია)

**მატჩი №59. გვანგჯუ. კორეა. 22 ივნისი**

**ს. კორეა–ესპანეთი 0–0 (პ 5–3)**

*კორეა:* ვ.ი. ლი, ჯ.ჩ.ჩოი, ნ.ი. კიმი (ე.ი. ლი 32), იოო (ჩ.ს. ლი 62), მ.ბ. ჰონგი, ი.პ. ლი, ჩ.გ. სონგი, ტ.ი. კიმი (ს.ჰ. ჰვანგი 89), პარკი, სეოლი, ანი.

*ესპანეთი:* კასილიასი, ელგერა (ხავი 95), პუიოლი, იერო, ბარახა, ნადალი, დე პედრო (მენდიეტა 68), ხუაკინი, რომერიო, ვალერონი (ლუის ენრიკე 78), მორიენტესი.

*გააფრთხილეს:* იოო, დე პედრო, მორიენტესი.

*მსაჯი:* ჯამალ ღანდური (ეგვიპტე).

*პენალტები დაარტყეს:* ს. კორეა — ს.ჰ. ჰვანგი, პარკი, სეოლი, ანი, მ.ბ. ჰონგი. ესპანეთი — იერო, ბარახა, ხავი, ხუაკინი (მეკარე).

**მატჩი №60. ოსაკა. იაპონია. 22 ივნისი.**

**სენეგალი — თურქეთი 0–1 (დ.დ)**

*სენეგალი:* ტ. სილვა, ო. დაფი, პ.მ. დიოპი, ა. სისე, ა. კამარა, ფადიგა, ელ ჰ. დიუფი, დიატა, დიაო, კოლი, პ.ბ. დიოპი.

*თურქეთი:* რუშთუ, ქორქმაზი, აკიელი, ოზალანი, ქერი მოლლუ, შუქური (მანსიზი 67), ბაშთურქი, შაში, ე. პენბე, ბელოზოლლუ (ა. ერდემი 91), დავალა.

*გოლი:* 0-1 მანსიზი (94).

*გააფრთხილეს:* დაფი, ა. სისე, ბელოზოლლუ, მანსიზი.

*მსაჯი:* ოსკარ რუისი (კოლუმბია).



## ფინალურ მატჩს კოლინა იმსაჯებს?

ფიფამ გამოაცხადა იმ მსაჯთა ვინაობა, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებს წარუძღვებიან. გერმანიისა და სამხრეთ კორეის ნაკრებთა მატჩს იმსაჯებს შვეიცარიელი ურს მაიერი, ხოლო ბრაზილია-თურქეთის ნახევარფინალურ შეხვედრას — დანიელი კიმ მილტონ ნელსენი.

საერთოდ, კორეის მონაწილეობით გასამართ მატჩში მსაჯის დანიშვნა მეტად რთული იყო. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ჩემპიონატზე ძალზე ბევრი სკანდალური გამოთქვა მსაჯების მიმართ. გახსოვთ, ალბათ, „სკუადრა ადზურას" პრაქტიკულად მოგებული მატჩი წააგებინეს ხორვატიასთან. საერთოჯამში კი 5(!) გოლი არ ჩაუთვალეს, რის გამოც იტალიელებმა აღშფოთებულებმა დატოვეს მსოფლიო ჩემპიონატი.

სკანდალი მოხდა კორეა-ესპანეთის მეოთხედფინალურ მატჩში, როცა ესპანელებს აშკარა გოლი არ ჩაუთვალეს, პენალტების სერიაში კი კორეელებმა გაიმარჯვეს.

ამ სკანდალური შეხვედრის შემდეგ ფიფას პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ნახევარფინალური და ფინალური მატჩებისათვის მსაჯები ყურადღებით შეირჩეოდა. ბოლოს არჩევანი მაიერზე შეაჩერეს, რომელიც აშშ-კორეის შეხვედრაში მეოთხე მსაჯის მოვალეობას ასრულებდა...

## ლუის ენრიკე ესპანეთის ნაკრებიდან მიდის

**ესპანური საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას" 32 წლის ნახევარმცველმა ლუის ენრიკემ რადიო „კატალონიასთან" საუბარში განაცხადა, რომ ის აღარ ითამაშებს ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში.**

**ახე რომ, ესპანეთის ნაკრებმა ფერნანდო იეროს შემდეგ კიდევ ერთი გამოცდილი ვეტერანი დაკარგა.**

**ლუის ენრიკემ აღნიშნა, რომ სამხრეთ კორეასთან ნათამაშები მატჩი მის კარიერაში ბოლო სანაკრებო თამაში იყო. „მინდა, რომ გზა ახალგაზრდებს დავუთმო" — განაცხადა ვეტერანმა ფეხბურთელმა.**

# ნბა


ბურთით ხელში ცქიტიშვილი

## ცქიტიშვილი ნბა-ს დრაფტზე

26 ივნისს ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენი" ნბა-ს დრაფტს უმასპინძლებს, სადაც ნბა-ს კლუბები მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩასულ კალათბურთელებს გადაარჩევენ. ეს ღონისძიება ქართველებისათვის იმით არის საინტერესო, რომ მასში წარმოდგენილი იქნება იტალიური „ბენეტონის" 19 წლის ქართველი ლეგიონერი, 211 სანტიმეტრი სიმაღლის ნიკოლოზ ცქიტიშვილი. ნიჭიერი კალათბურთელის შეძენა „მაიამისა" და „ფინიქსს" სურთ. როგორც შევიტყვეთ, პირველი არჩევის უფლება „ჰიუსტონს" აქვს. ცქიტიშვილს არ ჰქონდა იმის შანსი, რომ ეს გუნდი მას აირჩევდა, რადგანაც ეს უკანასკნელი ყურადღებას ამახვილებს ჩინელ გიგანტზე — 226 სანტიმეტრის სიმაღლის მქონე იაო მინაზე, თუმცა გუშინ ჩინეთის კალათბურთის ფედერაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მინა არ გაემგზავრება დრაფტზე, ვინაიდან ის ჩინეთის ნაკრებთან ერთად საპასუხისმგებლო მატჩებისათვის ემზადება, ასე რომ, გაჩნდა იმის შანსი, ცქიტიშვილმა ნბა-ს რომელიმე საუკეთესო გუნდის მაისური მოირგოს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ნბა-ში თამაშის პერსპექტივა აქვს კიდევ ერთ ქართველ კალათბურთელს ზაზა ფაჩულიას.

თენგიზ ჩობანიძე



## მაიკლ ჯორდანი იწყებს!

როგორც ვაშინგტონ პოსტი იუწყება, ნბა-ს ახალი სეზონისათვის მზადებას იწყებს ლეგენდარული კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი. ის „ვაშინგტონის" შემადგენლობაში რიჩარდ ჰემილტონის შემცვლელი იქნება.

## ჰანტერი „ლეიკერსში" რჩება

ნბა-ს ჩემპიონის „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გამთამაშებელი ლინდსი ჰანტერი გუნდში კიდევ ერთი სეზონით დარჩება, თუმცა კონტრაქტის თანახმად, ჰანტერს „ლეიკერსში" თამაში კიდევ ორი წლის განმავლობაში შეუძლია, თანაც 8 მილიონი დოლარის საფასურად.

აქვე გეტყვით, რომ გასულ სეზონში ჰანტერმა 82 მატჩი ჩაატარა „ლეიკერსის" შემადგენლობაში და საშუალოდ 5,8 ქულას აგროვებდა.

ფორმულა-1

## ბარიკელომ ევროპის „გრან-პრი" მოიგო



„ფერარის" ბრაზილიელმა - ავტოპილოტმა რუბენს ბარიკელომ მოიგო „ფორმულა 1"-ის მორიგი ეტაპი - ევროპის „გრან-პრი", რომელიც გაიმართა ავტოდრომ „ნიურბურგრინგზე".

ბარიკელომ 308, 743 კილომეტრი (60 წრე) 1 საათსა, 35 წუთსა და 07,426 წამში დაფარა.

ფინიშთან მეორე მოჭრა მიხაელ შუმახერი („ფერარი"), ხოლო მესამე იყო კიმი რაიკონენი „მაკლარენ - მერსედესი").

საერთო ჩათვლაში, 9 ეტაპის შემდეგ, მიხაელ შუმახერი ლიდერობს, რომელსაც 76 ქულა აქვს. მეორე ადგილზე 30 ქულით რალფ შუმახერია. რაც შეეხება ბარიკელს, მას მეხუთე საფეხური უჭირავს - 26 ქულა.


სერენა უილიამსი

## უიმბლდონის ტურნირზე

გუშინ უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირი დაიწყო. ვაჟთა შეჯიბრების პირველ წრეში ანდრე აგასიმ ჰარელ ლეფი დაამარცხა — 6:0, 6:4, 6:4, თომას ენკვისტმა ერვინდ პარნარს მოუგო — 6:1, 6:4, 6:4, ხოლო მარატ საფინმა — სედრიკ პიოლინს — 7:6, 6:2, 6:3.

ქალთა ტურნირის პირველივე წრეში დამარცხდა ანა კურნიკოვა. მან ვერაფერი მოუხერხა თანამემამულე ტატიანა პანოვას — 1:6, 6:4, 4:6.

სერენა უილიამსმა ევიე დომინიკოვიჩს სძლია — 6:1, 6:1, ხოლო ჯენიფერ კაპრიატიმ — ჟანეტ ჰუსაროვას — 6:1, 6:4.

ჰოკეის ვარსკვლავები

## დომინიკ ჰაშეკი ნხლ-ს სტოვებს

ჩეხეთის ნაკრებისა და ნხლ-ის კლუბ „დეტროიტის" საუკეთესო მეკარემ დომინიკ ჰაშეკმა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს, ოცნება აისრულა და სტენლის თასი მოიგო, აპირებს, დაასრულოს თავისი სპორტული კარიერა ნხლ-ში და დაბრუნდეს სამშობლოში.

შეგახსენებთ, რომ ჰაშეკმა 12 წელი გაატარა ნხლ-ში. ის ძირითადად „ბუფალოს" ღირსებას იცავდა. 2000-2001 წლების სეზონის დასრულების შემდეგ ის „დეტროიტში" აღმოჩნდა.

ჰაშეკმა დიდი წვლილი შეიტანა ჩეხეთის ჰოკეისტთა ნაკრების გამარჯვებაში ნაგანოს 1998 წლის ოლიმპიურ თამაშებში.



ნხლ-ის საუკეთესო მეკარის წასვლას „დეტროიტი" ჯერჯერობით ვერ ეგუება. გუნდის ხელმძღვანელი მოლაპარაკებას აწარმოებს ჰაშეკთან. ეს უკანასკნელი ოფიციალურ განცხადებას გაკეთებას დღეს აპირებს.

## ვლადიმერ კლიჩკო მერსერის წინააღმდეგ

უკრაინელი მოკრივე, ვბო-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი, მძიმე წონოსანი ვლადიმერ კლიჩკო (სურათზე მარცხნივ) თავისი ტიტულის დასაცავად ემზადება. 29 ივნისს ატლანტიკ-სიტიში, კაზინო „მაჰალში" ის შეებრძოლება ცნობილ ამერიკელ მოკრივეს რეი მერსერს (მარჯვნივ).




იუმორი

უსიტყვოდ...



## კრამნიკი დაწინაურდა

ესპანეთის ქალაქ ლეონში გრძელდება საჭადრაკო მატჩი მსოფლიო ჩემპიონ ვლადიმირ კრამნიკსა და ესპანეთთან ანანდს შორის. მატჩი ექვსი „სწრაფი" პარტიისაგან შედგება და მასში გამოიყენება კომპიუტერები. პირველ დღეს მეტოქეები დაზავდნენ, ხოლო მეორე პარტია კრამნიკის გამარჯვებით დასრულდა.

„ლელოს" რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებს „ლელოს" ყოფილ რედაქტორს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" სპორტული რედაქციის რედაქტორს ანზორ ბასილაიას დის

ლუნა ბასილაია-ღლონტის

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 25-26 ივნისს, 17 სთ; გამოსვენება 27 ივნისს, 15 სთ. მისამართი: ბოგდან ხმელნიცკის ქ. 48, კორპ. 9, 1 სადარბაზო.

## დსთ-ს სპარტაკიადა

კვირას ოდესაში გაიხსნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების არმიათა სპარტაკიადა, რომელშიც 500 სპორტსმენი მონაწილეობს სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიიდან, მოლდოვადან, ტაჯიკეთიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან.

სამხედროები ერთმანეთს შეეჯიბრებიან მძლეოსნობაში, სროლაში, თავისუფალ ჭიდაობაში, მინი-ფეხბურთში და მრავალჭიდში. სპარტაკიადა 29 ივნისს დასრულდება.

თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ, „ლელოს" შეძენა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს" რედაქციის წინ, კოსტავას, 14) გამავრცელებელთან. მიიღება დაკვეთაც.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




25 ივნისი, სამშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი: მ/ჩ-ის ნახევარფინალური მატჩი (16.20), ნახევარფინალური მატჩის ვიდეოჩანაწერი (21.00). *II არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ-ის ნახევარფინალური მატჩის ვიდეოჩანაწერი (19.00), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (20.00), *მე-9 არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ-ის დღიური (21.10), ***НТВ плюс футбол.*** ფეხბურთი: „ყველა დროის მატჩები" — 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი: იტალია — გერმანია (13.15), მსოფლიო ჩემპიონატი ნახევარფინალის წინ (15.30), მ/ჩ-ის ნახევარფინალი. კორეიდან (16,20), მსოფლიო ჩემპიონატის ჰიტ-პარადი (18.20, 23.25), მ/ჩ. ნახევარფინალური მატჩი (21.40), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (11.45, 17.00), ჭადრაკი. ვ. კრამნიკი — ვ. ანანდის მატჩი (14.40), ბილიარდის მეფეები (0.00), ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა. ევროპის თასი (12.30, 17.30), ფეხბურთი: „Bamc"-ის თასი (15.30), Classics-ს მსოფლიო თასი (16.00, 19.00, 2.15), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (21.00), ფეხბურთი. აზიის კულტურის თასი (3.15, 4.45).

26 ივნისი, ოთხშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ-ის ნახევარფინალური მატჩი (16.20), მ/ჩ-ის ნახევარფინალური მატჩის ვიდეოჩანაწერი (21.00). *II არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ-ის ნახევარფინალური მატჩის ვიდეოჩანაწერი (19.00). *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 22.30), *მე-9 არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ-ის დღიური (21.10). ***НТВ плюс футбол.*** მ/ჩ-ის ნახევარფინალი (13.15), ნახევარფინალამდე (15.20), მ/ჩ-ის ნახევარფინალი, იაპონიიდან (16.20), მ/ჩ-ის ჰიტ-პარადი (18.20), მ/ჩ-ის ნახევარფინალური მატჩი (21.55), „მატჩები ყველა დროისთვის". 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი (23.40). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (11.45, 17.00). ბილიარდის მეფეები (14.40), ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო თასი (15.30), ფეხბურთი. Classics-ის მსოფლიო თასი (16.00, 18.20, 2.15), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (21.00), ფეხბურთი. აზიის კულტურის თასი (13.15, 4.45).

27 ივნისი, ხუთშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00), ***НТВ плюс футбол.*** მ/ჩ. ნახევარფინალი (13.15), მსოფლიო ჩემპიონატის ჰიტ-პარადი (15.20), „მატჩი ყველა დროისთვის" — 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი (17.05), მ/ჩ. ჰიტ-პარადი (19.05, 22.55, 0.40), 1990 წლის მ/ჩ-ის ფინალი (21.10). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (11.45, 17.00), ბილიარდის მეფეები (16.15), ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო თასი (13.30), ფეხბურთი: აზიის კულტურის თასი (15.30, 2.15, 4.15), Clossics-ის თასი (19.15), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (21.00).



## კროსვორდი № 48

თარაზულად: 1. წარსულში თბილისის „დინამოს" სახელმოხმე ფეხბურთელი, 7. სიმაღლეზე ხტომის ატრიბუტი, 10. იგივეა, რაც სპორტული ასპარეზი. 12. კორეელი ფეხბურთელი, 1998 წლის ჩემპიონატის მონაწილე. 14. ნორვეგიელი ფეხბურთელი, 15. წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, 16. შეჯიბრების სტრუქტურა, ჯგუფი, 18. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე. 20. ფრანგული საფეხბურთო კლუბი, 22. რაიონული ცენტრი კახეთში, 23. წარსულში ცნობილი მოკრივე.

შვეულად: 2. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი იტალიური ქალაქი. 3. წარსულში ცნობილი რუსი წარმოშობის თბილისელი მოჭადრაკე ქალის სახელი; 4. მსოფლიო ჩემპიონი მოჭადრაკე ქალის სახელი. 5. პოლონური საფეხბურთო კლუბი. 6. იგივეა, რაც ალპინისტი, 8. აკადემიურ ნიჩბოსნობაში 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი სსრკ-დან, 9. პორტუგალიური საფეხბურთო კლუბი, 11. იტალიური საფეხბურთო კლუბი, 13. შვეიცარიული საფეხბურთო კლუბი, 17. თამაშის სახეობა, 19. ფრენის დროს კამარის შეკვრა, 21. სპორტული „იარაღი".

### კროსვორდი №47. პასუხები

თარაზულად: 6. აბაშიძე. 8. აფშევი. 10. „ოსერი". 11. დიდა. 12. ირბი. 14. 16. „ჯენოა". 17. ფეტისოვი. 19. ხერგიანი. 20. ზიდანი. შვეულად: 1. აბუსერიძე. 2. აფრა. 4. ლიტმანენი. 7. შორტი. 9. გოლკიპერი. 13. დებიუტი. 15. ბორგი. 18. ოლგა.

### საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (ს. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მa3! 1. ...ed 2. ლf3X.
1. ...e2 2. ლc2X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com